ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1729660

ნომერი: AR1282691

თარიღი : 05.02.2015

გაცემის თარიღი : 12.02.2015

გაცნობის თარიღი : 12.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 99 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ჩხაიძე პ/ნ 01008024556
- თბილისი ი.ქუთათელაძის ქ. N 1

ორგანიზაცია:

- ამფიონი კოდი: 205264603

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში დააზუსტეთ რა დანიშნულებისთვისაა განსაზღვრული ფასადზე კარის ღიობების მოწყობა. იმ შემთხვევაში თუ გსურთ კარის ღიობები ფასადზე განათავსოთ მასში ავტომობილის შესვლის მიზნით, პირველ რიგში თანხმობა უნდა მოიპოვოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსგან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ტერიტორიის გზის მოწყობის მიზნით სარგებლობასთან დაკავშირებით და მასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის თანხმობა, გზიდან კერძო სარგებლობის ნაკვეთში შესასვლელის მოწყობასთან დაკავშირებით.

2. თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან, მიწის ნაკვეთი 30.0 კვ.მ.-ის ფართით დატვირთულია ვალდებულებით (დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე), მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა და განალხლდეს ამონაწერი.

3. ფოტომონტაჟზე დასატანია საპროექტო კარის ღიობის გაბარიტული ზომები.

4. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" გრაფაში აიტვირთოს შ.პ.ს. "ბაკაშვილი და პარტნიორები"-ს დირექტორის მინდობილობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით) ან აღნიშნულის პირი დაარეგისტრირეთ თანაგანმცხადებლის სახით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.